ძვირფასო სტუდენტებო,

აქტუარებისა და ფინანსური ანალიტიკოსების ასოციაცია (**აფაა**) გთავაზობთ ფაკულტატურ კურსს „მოკლევადიანი დაზღვევის აქტუარული მათემატიკა“, რომელსაც გაუძღვებიან სადაზღვევო სფეროში მომუშავე წამყვანი სპეციალისტები. ხსენებული კურსის პროგრამა შემუშავებულია საერთაშორისოდ აღიარებული სერთიფიცირებული ანალიტიკოსი აქტუარის (**CAA**) კვალიფიკაციის მოთხოვნების შესაბამისად და პირველ რიგში განკუთვნილია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტების ბაკალავრიატის III და IV კურსისა და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის.

აქტუარის საქმიანობა არის მრავალმხრივი და უაღრესად საპასუხისმგებლო. შესაბამისად, იმისათვის, რომ აქტუარმა ჯეროვნად შეასრულოს თავისი მოვალეობები, მას უნდა გააჩნდეს საკმაოდ ღრმა, მრავალმხრივი ცოდნა და სათანადო უნარ-ჩვევები.

გაცნობებთ, რომ საქართველოს პარლამენტმა 2023 წლის 15 ივნისს მიიღო ცვლილება „დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონში“ და მზღვეველის გადახდისუნარიანობის და ფინანსური სიმყარის უზრუნველსაყოფად, განისაზღვრა მზღვეველის (სადაზღვევო კომპანიის) სტრუქტურაში აქტუარის ყოლის ვალდებულება. ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება ყველა მზღვეველს დაევალა 2025 წლის 1 იანვარიდან და იმ სტუდენტებს, რომლებიც წარმატებით გაივლიან შემოთავაზებულ კურსს, გაუჩნდებათ სადაზღვევო კომპანიებში აქტუარის პოზიციის დაკავების მაღალი შანსები.

იმისათვის, რომ შემოთავაზებული კურსი იყოს მაქსიმალურად ეფექტური, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მის ორ ეტაპად ჩატარება. პირველი ეტაპი დაეთმობა აქტუარული მეთოდებისა და ინსტრუმენტების შესწავლისათვის საჭირო საბაზისო ცოდნის ფორმირებას, რისთვისაც მოხდება კალკულუსის, ალბათობის თეორიისა და მეთემატიკური სტატისტიკის აუცილებელი საკითხების განხილვა. მეორე ეტაპი მთლიანად დაეთმობა საკუთრივ აქტუარული მეთოდებისა და ინსტრუმენტების შესწავლას, რომლებიც გამოიყენება მოკლევადიან (არასიცოცხლის) დაზღვევაში, სადაზღვევო პორტფელების ანალიზისთვის, სადაზღვევო პროდუქტების განფასების, სადაზღვევო რეზერვების საჭირო მოცულობის განსაზღვრისა და სხვა ამოცანებში.

სწავლება და გამოცდები ჩატარდება ქართულ ენაზე, ხოლო სასწავლო მასალები იქნება ინგლისურენოვანი.

ბოლოს გაიცემა კურსის გავლისა და გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატები.

** ხანგძლივობა: 2024 წლის ოქტომბერი - 2025 წლის ივნისი;
** **პირველი ლექცია ჩატარდება 2024 წლის 1 ოქტომბერს;**

** მეცადინეობის ჩატარების დრო და ადგილი: უნივერსიტეტის მე-11 (ყოფილი ბიოლოგების) კორპუსი,

სამშაბათს, 15:00-17:00, აუდიტორია N 421,
შაბათს, 10:00-13:00, აუდიტორია N 010.

იმისათვის, რომ კურსის გავლის მსურველთა ჯგუფი დროულად ჩამოყალიბდეს, გთხოვთ არაუგვიანეს მიმდინარე წლის 26 სექტემბრისა მოგვწეროთ თქვენი დაინტერე4სების შესახებ ასოციაციის მეილზე: info@aafa.ge-ზე და წერილში მიუთითოთ თქვენი სახელი, გვარი, ფაკულტეტი, დეპარტამენტი და კურსი.

ანა ხარატიშვილი,CAA
პრეზიდენტი
აქტუარებისა და ფინანსური ანალიტიკოსების ასოციაცია

Mob.: (+995 599) 15 77 05
E-mail: akharatishvili84@gmail.com
info@aafa.ge